საქართველოს მთავრობის

განკარულება №1164

2016 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ჭიათურის მუნიციპალიტეტი 3 თვის ვადით გათავისუფლდეს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამავე დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში.

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ჭიათურის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა და ჭიათურის მუნიციპალიტეტმა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

გ.ა) ქვედა ჭალოვანის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ ტუფობრექჩიის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი;

გ.ბ) სოფ. ზედა ჭალოვანის მიმდებარე ტერიტორიაზე – 1200 $მ^3$ ტუფის (ღორღი) მოპოვებისათვის - 240 (ორას ორმოცი) ლარი;

გ.გ) სოფ. რგანის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი;

გ.დ) სოფ. მანდაეთის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი;

გ.ე) სოფ. ტყემლოვანას მიმდებარე ტერიტორიაზე – 2500 $მ^3$ გრანიტოიდების (ღორღი) მოპოვებისათვის – 500 (ხუთასი) ლარი;

გ.ვ) სოფ. სკინდორის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2100 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 420 (ოთხას ოცი) ლარი;

გ.ზ) სოფ. ცხრუკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე – 500 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 100 (ასი) ლარი;

გ.თ) სოფ. მელუშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე – 600 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 120 (ას ოცი) ლარი;

გ.ი) სოფ. ქვაციხეს მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი;

გ.კ) სოფ. მოხოროთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე – 1500 $მ^3$ ტუფის (ღორღი) მოპოვებისათვის – 300 (სამასი) ლარი;

გ.ლ) სოფ. დარკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი;

გ.მ) სოფ. ხრეითის მიმდებარე ტერიტორიაზე – 2000 $მ^3$ კირქვის (ღორღი) მოპოვებისათვის – 400 (ოთხასი) ლარი.

3. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. ჭიათურის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**